

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

*ხელნაწერის უფლებით*

თამარ მალხაზის ასული ფუტკარაძე-ლაშხი

**კონტრაპუნქტის ახალი სახეები ქართულ მუსიკაში  
(თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილების“  
მაგალითზე)**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

MUS 0215.1.9: კომპოზიცია

თბილისი, 2023 წელი

## სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ეკა ჭაბაშვილი

(სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

მარიკა ნადარეიშვილი

(ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი)

## ექსპერტი:

მაცა (მაია) ვირსალაძე

(სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი)

დისერტაციის დაცვა შედგება: 2023 წლის 1 დეკემბერს, პარასკევს 14:00 სთ-ზე,

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე N 3

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. N8/10, IV სართული, აუდიტორია 425

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო  
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და  
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: [tsc.edu.ge](http://tsc.edu.ge)

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ეკა ჭაბაშვილი

სამუსიკო ხელოვნების დოქტორი  
ასოც. პროფესორი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კონტრაპუნქტი სამყაროს, ადამიანის ყოფის, აზროვნებისა და ცხოვრების განუყოფელი, თანმდევი ნაწილია. სამყაროს არსებობა იმთავითვე განაპირობებს მასში უამრავი პროცესის ერთდროულობაში მიმდინარეობას, განვითარებასა და ურთიერთქმედებას. მუსიკალური ხელოვნება კი, როგორც სამყაროსა და ადამიანის აზროვნების ერთგვარი მოდელი, კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი გამოხატვის ფორმებისა და ხერხების მეშვეობით მუდამ ასახავს ასეთი პროცესების მიმდინარეობას. საუკუნეების განმავლობაში ტერმინ „კონტრაპუნქტმა“ არაერთხელ შეიცვალა მნიშვნელობა თუ გამოყენების ინტენსივობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონტრაპუნქტისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია, ის გვიქმნის წარმოდგენას არა მხოლოდ კონკრეტული კომპოზიტორის სააზროვნო პრინციპებზე, არამედ მისი ეპოქისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე და ხელოვნების განვითარების მიმართულების უფრო ფართო ასპექტში დანახვის საშუალებას გვაძლევს. სწორედ აღნიშნული განაპირობებს არჩეული სადისერტაციო თემის აქტუალობას.

კონტრაპუნქტის სხვადასხვა ახალი ფორმის გამოყენების პრობლემატიკა თანამედროვე ქართული კამერული ოპერის მაგალითზე დღემდე არ გამხდარა საგანგებო სამეცნიერო კვლევის საგანი, რაც წარმოადგენს წინამდებარე შრომის სამეცნიერო სიახლეს.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია კონტრაპუნქტის ახალი სახეები თანამედროვე ქართულ მუსიკაში, ხოლო კვლევის საგანია - თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილები“. კვლევის მიზანია კონტრაპუნქტის ახალი სახეების გამოყენების თავისებურებების შესწავლა ახალ ქართულ მუსიკაში ეკა ჭაბაშვილის საგუნდო და რეზო კვიციანიის კამერული მუსიკის ზოგიერთი ნიმუშის, ზურაბ ნადარეიშვილისა და თამარ ფუტკარაძე-ლაშხის კამერული ოპერების მაგალითზე. ამისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ✓ ახალი კონტრაპუნქტის ფორმების ირგვლივ არსებული საკლასიფიკაციო მოდელების განხილვა და მათგან ჩვენი კვლევისთვის ყველაზე მისაღები ვერსიის შერჩევა, რომელსაც დავეყრდნობით;
- ✓ თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების განხილვა, მათში კონტრაპუნქტის ახალი სახეების გამოვლენის მიზნით;
- ✓ ოპერა „თევზის წერილების“ გაანალიზება კონტრაპუნქტის სხვადასხვა ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით;

✓ კონტრაპუნქტის ახალი სახეების გამოვლენის შემთხვევაში მათთვის შესაბამისი ტერმინოლოგიის შერჩევა და საკუთარი საკლასიფიკაციო მოდელის შექმნა;

✓ თამარ ფუტკარაძის ოპერა „თევზის წერილების“ როლისა და ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ქართული პროფესიული მუსიკის კონტრაპუნქტის ახალი სახეების გამოყენების კონტექსტში.

102-გვერდიანი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკამ და საკვლევ საკითხთა წრემ განსაზღვრა **ნაშრომის სტრუქტურა**, რომელიც შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც დართული აქვს აბსტრაქტი, სარჩევი და ბიბლიოგრაფია, ასევე, დანართის სახით - თ. ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილების“ პარტიტურა და კონცერტის ვიდეო-ჩანაწერი.

**დისერტაციის პირველი თავი - „ზოგადი მიმოხილვა (თეორიები, მოსაზრებები, ახალი კონტრაპუნქტის და დროით-სივრცითი პარამეტრის საკლასიფიკაციო მოდელები)“** - ეძღვნება საკვლევ საკითხის ზოგად მიმოხილვას, სადაც განხილულია თეორიები, მოსაზრებები და საკლასიფიკაციო მოდელები კონტრაპუნქტის ახალი სახეებისა თუ მუსიკის დროით-სივრცითი პარამეტრის შესახებ; იგი შედგება 4 ქვეთავისგან:

**1.1. კონტრაპუნქტი თუ პოლიფონია** - ეძღვნება პოლიფონიისა და კონტრაპუნქტის ტერმინთა განმარტებას. დასმულია საკითხი, თუ რატომ გამოიყენება სადისერტაციო ნაშრომში ტერმინი *კონტრაპუნქტი* და არა *პოლიფონია* და განხილულია კონტრაპუნქტის ტ. კიურეგიანის მიერ მოყვანილი საკლასიფიკაციო მოდელი;

**1.2. დრო და სივრცის პარამეტრი, როგორც კონტრაპუნქტის შექმნის მექანიზმი** - აქ საუბარია მუსიკალური დროისა და სივრცის პარამეტრის გამოყენების ახალი ხერხების შესახებ სხვადასხვა საკომპოზიციო ტექნიკასა და მიმართულებაში;

**1.3. დროის ფილოსოფიური გააზრება** - განვიხილავთ კონტრაპუნქტის ახალი მოდელების წარმოქმნის შესაძლო ვერსიებსა და გამომწვევ ფაქტორებს;

**1.4. კონტრაპუნქტის ახალი სახეების მიმოხილვა თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების რამდენიმე ნაწარმოებში.** ამ ქვეთავში, კონტრაპუნქტის გამოყენების სპეციფიკის თვალსაზრისით, განხილულია შემდეგი ნაწარმოებები:

- ✓ ეკა ჭაბაშვილის „ქორალი“ და „პოეტი“;
- ✓ რეზო კვიციანიძის „ანტიფონია“ და „ზარი“;
- ✓ ზურაბ ნადარეიშვილის ოპერა “Aphaniptera and Formiside”.

მეორე თავი - „თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილები“  
- თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილების“ ანალიზს ეთმობა, სადაც  
ვლინდება კონტრაპუნქტის გამოყენების არაერთი ახალი სახე, ზოგიერთის  
დეფინიციისთვის შემოთავაზებულია შესაბამისი ტერმინოლოგია. ოპერა განხილულია  
უახლეს ქართულ მუსიკაში კონტრაპუნქტის სპეციფიკის გამოყენების კონტექსტში. ეს  
თავი შედგება შემდეგი ქვეთავებისგან:

- 2.1. ოპერის მოქმედი გმირები, ინსტრუმენტარია და სტრუქტურა
- 2.2. ოპერის შინაარსი და მოქმედების აღწერა
- 2.3. ოპერის ინსტრუმენტული გადაწყვეტა
- 2.4. Facebook / F. bk.
- 2.5. ოპერის იდეა /ოპერის ნარატივი
- 2.6. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „თევზის წერილები“ და თამარ  
ფუტკარაძის ოპერა „თევზის წერილები“ - საერთო და განმასხვავებელი  
მახასიათებელი ნიშნები
- 2.7. ვირტუალური და რეალური სამყაროების კონსტრუქცია
- 2.8. კონტრაპუნქტი - ოპერის სტრუქტურის და დრამატურგიის  
წარმმართველი სახე
- 2.9. ვერბალური ტექსტის ფუნქცია კონტრაპუნქტის ახალი სახის  
შექმნაში
- 2.10. ოპერის მთავარი გმირის სასიმღერო-ვოკალური ხმის  
გარკვეული სპეციფიკური ნიშნები თუ ნიუანსები.

კვლევის შედეგები შეჯამებულია დასკვნაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი  
ნაშრომი სასარგებლო იქნება კომპოზიტორებისა და შემსრულებლებისთვის, ასევე,  
ზოგადად, ქართულ მუსიკაში კონტრაპუნქტის ახალი სახეების შესწავლით  
დაინტერესებული სპეციალისტებისთვის. ნაშრომი დაეხმარება მკვლევრებს უფრო  
ნათლად წარმოიდგინონ თანამედროვე კომპოზიტორის აზროვნების ფენომენი, ასევე,  
გაეცნონ კონტრაპუნქტის სახეების გამოყენების ახლებურ მეთოდებს თანამედროვე  
ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურა ორ  
ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ. პირველ მათგანში შედის ნაშრომები  
კონტრაპუნქტის შესახებ. დისერტაციაზე მუშაობისას განსაკუთრებით აქტიურად  
დავეყრდენით: მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორთა ერთობლივ

სახელმძღვანელოს „თანამედროვე კომპოზიციის თეორია“<sup>1</sup> და ი. კუზნეცოვის ფუნდამენტურ შრომას „XX საუკუნის პოლიფონიის თეორიული საფუძვლები“<sup>2</sup>. ორივე ნაშრომში აღნიშნული საკითხები საკმაოდ ფართოდ და მრავლისმომცველადაა განხილული. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ტერმინოლოგიურ სირთულეებზე, აშუქებენ პოლიფონიისა და კონტრაპუნქტის ისტორიული განვითარების ეტაპებს, გვთავაზობენ XX საუკუნის პოლიფონიის ფორმათა კლასიფიკაციას. გავეცანით ქართველი ავტორების (დ. არუთინოვი-ჯინჭარაძე, ლ. მარუაშვილი, მ. ტაბლიაშვილი, ნ. გუდიაშვილი) შრომებსაც პოლიფონიისა და კონტრაპუნქტის შესახებ.

დამუშავებული ლიტერატურის მეორე ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია და მოიცავს ნაშრომებს უახლესი ქართული მუსიკის შესახებ (მ. ქავთარაძის, დ. გოგუას, ო. კაპანაძის, მ. ვირსალაძის, ე. ჭაბაშვილის, მ. ტაბლიაშვილის, მ. ნადარეიშვილის, ნ. შარიქაძის გამოკვლევები).

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სამეცნიერო და მხატვრული კვლევის მეთოდები, კერძოდ:

- ემპირიული მეთოდი, რაც საკომპოზიტორო გამოცდილებაზე დაყრდნობით კონტრაპუნქტის ახალი ხერხების ძიებაში გამოიხატება;
- ანალიტიკური და კომპარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებაში კონტრაპუნქტის ახალი ხერხების გამოყენების კვლევას, აღმოჩენას, ანალიზს, შედარებასა და დაჯგუფებას;
- ექსპერიმენტული მეთოდი, რაც გულისხმობს ოპერის შექმნას შესწავლილი მასალის საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი იდეების მხატვრულ-შემოქმედებით პროცესში განხორციელებას. ექსპერიმენტი გამართლდა, მოხდა კონტრაპუნქტის ახალი სახის ინტეგრირება უკვე არსებულ კონტრაპუნქტის ახალ ტექნიკასთან და შედეგად დაიწერა კამერული ოპერა „თევზის წერილები“;
- პრაქტიკულ-საშემსრულებლო მეთოდი - ექსპერიმენტის დემონსტრირება განხორციელდა პრაქტიკულ-საშემსრულებლო დონეზე; 2018 წლის 18 მაისს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის დიდ დარბაზში. გაიმართა ოპერის საკონცერტო ვერსიის პრემიერა;
- სისტემური მიდგომა და მოდელირება, რაც აისახა შესწავლილი მასალის შედეგად კონტრაპუნქტის ახალი ხერხების კლასიფიკაციაში; მოვახდინეთ არსებული

<sup>1</sup> Ценова, В. (ред.) (2005). *Теория современной композиции*. Москва: Музыка.

<sup>2</sup> Кузнецов, И. (1994). *Теоретические основы полифонии XX века*. Москва: НТЦ "Консерватория".

საკლასიფიკაციო მოდელების მოდიფიკაცია და ახალი სახით წარმოვადგინეთ, რაც განაპირობა კონტრაპუნქტის ახალი სახის გაჩენამ და საკითხის გადააზრებამ.

## თავი I

### ზოგადი მიმოხილვა

#### (თეორიები, მოსაზრებები, კონტრაპუნქტის და დროით-სივრცითი პარამეტრის საკლასიფიკაციო მოდელები)

##### 1.1. კონტრაპუნქტი / პოლიფონია

XX საუკუნის პოლიფონია უდიდესი მასშტაბისა და სირთულის მოვლენაა, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს თანამედროვე მუსიკალური აზროვნებისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან მხატვრულ-სააზროვნო პრინციპებს. პოლიფონიამ სათავე დაუდო ფორმაქმნადობის ახალ მეთოდებს ბევრ ქანრში, გარდასახა ტრადიციული სტრუქტურები და წარმოშვა უნიკალური ნაირსახეობები. XX-XXI საუკუნის მუსიკალურ შემოქმედებაში პოლიფონიზების მასშტაბები და გავლენის სიღრმე დიდია, იკვეთება მისი გააზრების ორი ძირითადი რაკურსი: პოლიფონია, როგორც აზროვნების მეთოდი და წერის ტექნიკა. დღეისათვის პოლიფონია აღარ არის მხოლოდ ფაქტურის თვისება, იგი მოიცავს ისეთ ერთმანეთისგან განსხვავებულ პარამეტრებს, როგორცაა: ბგერა, ჰარმონია, რიტმი, ფორმაქმნადობა და ა.შ. ტერმინები - კონტრაპუნქტი, პოლიფონია - გასცდა საკუთრივ მუსიკალური სფეროს ფარგლებს; დღეს ისინი აქტიურად გამოიყენება სამეცნიერო-ჰუმანიტარულ და მხატვრულ-პრაქტიკულ სფეროებში: ლიტერატურისმცოდნეობაში, რეჟისურაში, ფილოსოფიაში, ესთეტიკაში, თეატრმცოდნეობასა და კინომცოდნეობაში. კომპოზიტორები სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ სიტყვა „პოლიფონიას“, როგორც მეტაფორას.

წარმოვადგინეთ XX საუკუნის პოლიფონიის სახეების კლასიფიკაციას ტ. კიურეგიანის შრომის<sup>1</sup> მიხედვით. მეცნიერის აზრით, პოლიფონია შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე დონეზე:

მუსიკალური მასალის დონეზე გამოიყენება: სონორული პოლიფონია (წერტილების, სონორული შრეების, სონორულ-ალეატორიკული შრეების, ფონურად გააზრებული ვერბალური ტექსტების პოლიფონია და ელექტრონული კონტრაპუნქტი); სხვადასხვა ბგერითი სახეების ან ტიპების პოლიფონია; სტილების პოლიფონია; ერთიანი სტრუქტურების კონტრაპუნქტი.

პოლიფონია ფორმალურ-ონტოლოგიურ დონეზე მოიცავს ორ სახეს: მრავალდროითი კონტრაპუნქტი; სივრცული პოლიფონია.

<sup>1</sup> Кюрегян, Т. (2005). Музыкальное письмо. Новый контрапункт. *Теория современной композиции*. Москва: Музыка

ბგერით დონეზე გამოიყოფა: შიდა ბგერითი პოლიფონია (სპექტრული და პარამეტრების პოლიფონია); ერთპარამეტრული (რიტმული ან ბგერათსიმადლებრივი).

ნაშრომში კონტრაპუნქტს განვიხილავთ, როგორც წერის ტექნიკას და ახალ სააზროვნო კატეგორიას, რომელსაც აუცილებლად მივყავართ საკომპოზიტორო ტექნიკასთან, ამიტომ ნაცვლად ტერმინისა „პოლიფონია“, ლოგიკურად მიგვაჩნია ტერმინ „კონტრაპუნქტის“ გამოყენება. კვლევაში კონტრაპუნქტი განხილულია არა მხოლოდ, როგორც უშუალოდ დამოუკიდებელი ხმების კომბინაცია, არამედ, როგორც ამ ხმების გავლენა უშუალოდ ნაწარმოების საერთო იდეაზე. კლასიფიკაციისას კრიტერიუმები უფრო გამსხვილებულია და გამახვილებულია ყურადღება კონტრაპუნქტზე, როგორც საკომპოზიტორო წერის ტექნიკისა და აზროვნების კატეგორიაზე.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით წმინდა სახით შეიძლება კონტრაპუნქტის ვერცერთი სახე ვერ გამოვავლინოთ და ყველაფერი მოქცეულ იქნას გარკვეულ ერთიანობაში. სწორედ ამიტომ ვატარებთ კვლევას ქართულ მუსიკაში, რომ დავადგინოთ, რა ინტენსივობით გვხვდება თითოეული მათგანი და არის თუ არა „სუფთა“ სახით რომელიმე კონტრაპუნქტული ნაირსახეობა მოცემული, ან რამდენად და რა ინტენსივობითაა ერთიანობაში კონტრაპუნქტის სხვადასხვა ფორმები წარმოდგენილი.

## **1.2. დრო და სივრცის პარამეტრი, როგორც კონტრაპუნქტის შექმნის მექანიზმი**

მუსიკალური დრო და სივრცე ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი პარამეტრებია, რომელიც კონტრაპუნქტის ახალი სახეების წარმოქმნაში უპირობოდ მონაწილეობს. შეუძლებელია ვისაუბროთ XX-XXI საუკუნის ახალ კონტრაპუნქტულ სახეებზე და მხედველობაში არ მივიღოთ ის მეცნიერული თუ ფილოსოფიური შეხედულებები, რაც შეიქმნა დროის ფენომენის შესახებ. ნებისმიერი ხელოვნების ნიმუში, რომელიც რაიმე მხატვრულ სიახლეს გვთავაზობს, გამოძახილია ეპოქალური აზროვნების, რომელშიც აირეკლება მოწინავე იდეები.

## **1.3. დროის ფილოსოფიური გააზრება**

XX საუკუნის კომპოზიტორების მიერ მუსიკალურ დროზე ჩამოყალიბებულ კონცეფციებსა და მათ შემოქმედებაზე დაყრდნობით მუსიკალური დროისა და სივრცის პარამეტრის კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

1. ერთი განზომილების დრო ანუ მონო, რომელიც ვითარდება ჰორიზონტალში;
2. ორი განზომილების დრო, ანუ პოლიდრო, რომელიც შეიცავს ჰორიზონტალს და ვერტიკალს;



3. სამი განზომილების დრო - ეს არის მულტიდრო, რომელიც შეიცავს ჰორიზონტალს, ვერტიკალს და სიღრმეს.

პირველი ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ნოვაციებს შეიცავს, მაინც არ კარგავს კავშირს წინა საუკუნეების ტრადიციებთან. მეორე ჯგუფი დაკავშირებულია დროის უფრო მნიშვნელოვან მოდიფიკაციასთან. მესამე ჯგუფი, ანუ სამი განზომილების დრო არის ყველაზე ახალი, დროითი პარამეტრის გააზრების ფორმების თვალსაზრისით. ამ ტიპის ნიმუშები მცირეა მუსიკალურ ლიტერატურაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ძალიან მნიშვნელოვანი ქვესახე XX საუკუნეში არის „ჩუმი დრო“, რომელიც კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, უკიდურესობაა მუსიკალურ დროსთან მიმართებაში. ყველაზე კარგად ეს დრო გამოვლინდა კეიჯის შემოქმედებაში და მის ნაწარმოებში 4' 33", როდესაც მან სიჩუმის სრული ინტეგრაცია მოახდინა მუსიკაში. შეიძლება ითქვას, რომ კეიჯის სრული ნოვატორობა გამოვლინდა იმაში, რომ მან შეიყვანა პაუზა კომპოზიციაში და აქცია ის მუსიკალური ენის უნივერსალურ, ერთგვარად ჰიპერტროფირებულ ელემენტად.

#### **1.4. კონტრაპუნქტის ახალი სახეების მიმოხილვა თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების რამდენიმე ნაწარმოებში**

თანამედროვე მუსიკოლოგიურ კვლევებში ტერმინი „პოლიფონია“ ხშირად ჩანაცვლებულია ტერმინით „კონტრაპუნქტი“, რადგანაც დღესდღეობით ტრადიციული პოლიფონიის ძირითადი კატეგორიებიდან - ფუგა, კანონი და კონტრაპუნქტი - პირველ პლანზე სწორედ ეს უკანასკნელი, კონტრაპუნქტი გამოდის. XX საუკუნეში ტერმინი კონტრაპუნქტი სცდება მხოლოდ მუსიკალურ სფეროს და სხვა სახელოვნებო დარგებშიც ფიგურირებს (მაგალითად, კინოსა და თეატრში).

პოლიფონიისა და კონტრაპუნქტის საკითხები სივრცე-დროისა და კონტრაპუნქტის ურთიერთქმედების კონტექსტში, თანამედროვე ქართულ მუსიკის მაგალითზე, დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. აღნიშნული პრობლემატიკის შესწავლა გადავწყვიტეთ ოთხი თანამედროვე, განსხვავებული სტილის მქონე კომპოზიტორის - რეზო კვიციანიძის კამერული და ეკა ჭაბაშვილის საგუნდო ნაწარმოებების, ასევე ზურაბ ნადარეიშვილისა და თამარ ფუტყარაძე-ლაშხის კამერული ოპერების მაგალითზე. შევეცადეთ მათ შემოქმედებაში კონტრაპუნქტის სპეციფიკური ფორმების გამოვლენა და შეფასება, აღნიშნული კომპოზიტორების ნაწარმოებებში ახალი კონტრაპუნქტის სახეების ანალიზი, მათი შედარება და კონტრაპუნქტის საკლასიფიკაციო მოდელში მოცემულ კონკრეტულ სახეებთან მისადაგება.

ნაშრომში, რ. კიკნაძისა („ანტიფონია“, „ზარი“) და ე. ჭაბაშვილის („ქორალი“, პოეტი“) ნაწარმოებების მაგალითზე, განვიხილავთ კონტრაპუნქტის შემდეგ სახეებს:

**I. მუსიკალური მასალის დონეზე:** წერტილების, სონორული შრეების, ალესტორიკული, ვერბალური ტექსტების, ელექტრონული კონტრაპუნქტი, სტილების კონტრაპუნქტი.

**II. ფორმალურ-ონტოლოგიურ დონეზე:** მრავალდროითი კონტრაპუნქტი, სივრცული კონტრაპუნქტი.

**III. ვიზუალური კონტრაპუნქტი** (მიკროპოლიფონია).

ზურაბ ნადარეიშვილის ოპერის *“Aphaniptera and Formiside”* („რწყილი და ჭიანჭველა“) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ოპერაში პოლიფონიას ვხვდებით როგორც მიკრო, ისე მაკროდონეებზე. XX საუკუნის კონტრაპუნქტის სხვადასხვა სახეებიდან ოპერაში კომპოზიტორი მიმართავს რამდენიმეს:

– **ფონურად გააზრებული ვერბალური ტექსტების კონტრაპუნქტი** (მაგალითად, 351-ე ტაქტში ქოროს პარტია);

– **მრავალდროითი კონტრაპუნქტი** (თითქმის მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთმანეთს ეფინება სხვადასხვა პულსაციის შრეები, მაგალითად, ფორმისიდეს პირველი გამოჩენა, სადაც იმიტაციების ფონზე ჟღერს რიტმული ოსტინატო და ბარიტონის მელოდიური ხაზი);

– **სივრცული კონტრაპუნქტი** (566-ე ტაქტში ჟღერს ტუბა კულისებიდან, რომელიც 570-ე ტაქტიდან შემოდის სცენაზე);

– **ერთპარამეტრული კონტრაპუნქტი** (მაგალითად, 48-50 ტტ., ფორტეპიანოს პარტია, 548-553 ტტ. ვიოლინოებს პარტიაში რიტმი რჩება იგივე, იცვლება ბგერების სიმაღლე).

## თავი II

### თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილები“

თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილები“ 2018 წელს დაწერილი ერთაქტიანი ოპერაა კამერული შემადგენლობისთვის. ოპერაში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ერთი სტანდარტული დღე-ღამის ციკლი სოციალურ ქსელში. ოპერა, ქართველი მწერლის, გოდერძი ჩოხელის ამავე სახელწოდების მქონე მოთხრობის შთაგონებით დაიწერა. ოპერის ლიბრეტო თავად კომპოზიტორს ეკუთვნის. თამარ ფუტკარაძე, ოპერაში „თევზის წერილები“, იყენებს სხვადასხვა ეპოქის, სტილის, ეროვნების, პოეტთა ლექსებს და ტექსტებს. ოპერაში გამოყენებულია მუხრან მაჭავარიანის, აკაკი წერეთლის, ტერენტი გრანელის, ლევან დუმბაძის, სეცუკო ნოძაგას და თავად კომპოზიტორის ტექსტები.

ოპერის მთავარი გმირი ერთი ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქეა, Facebook-ის ისეთივე მომხმარებელი, როგორც ყოველი ჩვენგანი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ოპერის რომელ ვერსიასაც განვიხილავთ, მთავარი გმირია ქალი, თუმცა მისი საოპერო პარტია, შეიძლება შეასრულოს ნებისმიერმა ხმამ, რადგან ოპერის ფაბულისთვის შინაარსობრივად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა გმირის სქესს (მითუმეტეს სოციალურ ქსელში ეს საკითხი ხშირად პირობითია და რეალობას არ განაპიობებს). სწორედ ამიტომ ოპერის მთავარი გმირი უსახელოა და პარტიტურაში, მისი პარტიის გასწვრივ წერია „ხმა - Voice“. ოპერაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია დღევანდელი ადამიანის ყოფაზე, ავტორი ეხება თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციულ მდგომარეობას, რომელიც გახლეჩილია რეალურ და ვირტუალურ სამყაროებს შორის. ოპერაში, სწორედ, ამ სამყაროების დაპირისპირების ფონზე ვითარდება მოქმედება. ამგვარად, წარმოდგენილია ქალი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში სოციალური ურთიერთობების დეფიციტის კომპენსირებას ვირტუალურ სამყაროში არსებული ქსელის „facebook“ მეშვეობით ახდენს. მის ცხოვრებაში ჩნდება გადამწყვეტი წამი, რომელიც აიძულებს ვირტუალური სივრციდან და იქ არსებული ადამიანებისაგან გაიქცეს, რადგან მის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებულ პოსტს (პირველი სურათის მესამე სცენა „პოსტი ჩუ, ქართველო“) მოყვება საშინელი აგრესია, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ დატოვოს სოციალური ქსელის დამქანცველი, ვირტუალური ყოველდღიურობა.

ოპერის გმირის ეს გადაწყვეტილება უეცრად არ ჩნდება, რაც ქალის დაუოკებელი სურვილის შედეგია, რომ გაექცეს სიყალბეს, რომელსაც საზოგადოება ქმნის ვირტუალურ სამყაროში. ამ ფონზე ძლიერდება ლტოლვა, რომ შეურთდეს ნამდვილ - რეალურ სამყაროს, ბუნებას და სიმშვიდე ჰპოვოს მის წიაღში. ეს შინაგანი მისწრაფება გარკვეული ხნის განმავლობაში მწიფდება, რაც ნათლად ჩანს დასაწყის სცენებში;

მისი შინაგანი, ქვეცნობიერი განცდები, გადმოცემულია ტექსტებით „დილაა, სველია ბალახი, სველია ბელტები ნედლი, დილაა“, სადაც ის უმდერის ბუნებას. ვირტუალურ სივრცეში ყოფნით დაღლილი გმირი, საკუთარ სიზმრებში ხედავს წყალს და თავად, თევზების გარემოცვაში თავისუფლად დალივლივებს.

ოპერის მეორე სურათის სცენებში: პირველი სცენა - „სიზმარი - თევზების ცეკვა“, მეორე სცენა - „მალავს ბუნება“, და მეორე სურათის მესამე სცენა - „სიზმრის გაგრძელება“. მთავარი გმირი ქალი უცბად აცნობიერებს თუ როგორ დაიღალა ვირტუალურ სამყაროში ყოფნით, როგორ დაშორდა რეალურ სამყაროს, ბუნებას, რომელიც სიცოცხლის ენერჯის წყაროა. პროტესტის გრძნობა უჩნდება იმ ვირტუალური გარემოს მიმართ, რამაც ჩაანაცვლა მისი რეალური გარემო და ფაქტობრივად, ცხოვრების წესადაც კი იქცა.

გმირი ცდილობს გამოსავალი იპოვნოს და სულიერი შვება იგრძნოს, მაგრამ პრობლემის გადაჭრა რთულდება, რადგან, აღმოაჩენს, ვირტუალური და რეალური სამყარო, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მიმართ არსებული პარალელური სამყაროებია, იმდენად გადაჯაჭვულნი არიან, რომ თანამედროვე ადამიანს ხშირად უჭირს ამ სამყაროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ეს სამყაროები ერთმანეთთან, მრავალფეროვან კონტრაპუნქტულ დამოკიდებულებაშია და ქმნიან ერთიან ცხოვრებისეულ ქსოვილს, როგორც მუსიკალურ ფაქტურას.

## **2.1. ოპერის მოქმედი გმირები, ინსტრუმენტარია და სტრუქტურა**

კამერული ოპერა „თევზის წერილები“ დაწერილია ორი ვოკალისტის (სოპრანო და ბარიტონი), შერეული გუნდის, ორკესტრის არასტანდარტული შემადგენლობისა და facebook-მომხმარებლებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ოპერაში გამოყენებულია ინსტრუმენტული თეატრის პრინციპი, როდესაც ინსტრუმენტები და მოქმედი გმირები ერთდროულად იმყოფებიან სცენაზე, ამიტომ ზოგიერთი მოქმედი გმირი საკრავის ან გუნდის მომღერლის სახით არის წარმოდგენილი; თავად საკრავები და გუნდი, მთლიანობაში, მიტინგზე შეკრებილი ხალხის ამპლუაშია გამოყვანილი.

ოპერა ერთაქტიანია და შედგება სამი სურათისგან მასში შემავალი სხვადასხვა სცენებით.

*პირველი სურათი შედგება 4 სცენისგან:* 1. დილის პოსტი; 2. საპროტესტო აქცია; 3. პოსტი ჩუ, ქართველო; 4. პირადი „ჩეთი“.

*მეორე სურათიც შედგება 4 სცენისგან:*

1. სიზმარი (თევზების ცეკვა); 2. მალავს ბუნება; 3. სიზმრის გაგრძელება; 4. ღამის სიმღერა.

*მესამე სურათი შედგება ერთი მონოლითური სცენისგან და პოსტ-სკრიპტუმისგან:*

„ვირტუალური სამყაროდან გაქცევის მცდელობა“.

P. S. სიჩუმე

აღსანიშნავია, რომ სცენა გაყოფილია სამ ნაწილად, გამოყენებულია ტრიპტიქის ხერხი, რომელიც სხვადასხვა სამყაროთა არეალს მოხაზავს. სცენის ერთი სივრცე დათმობილი აქვს ქალის ოთახს, მეორე - გარე სამყაროს ან სიზმრისეულ სამყაროს, მესამე სივრცე გამოყოფილია ეკრანისთვის, სადაც გამოტანილია ქალის კომპიუტერის მონიტორი და ვირტუალურ რეალობაში მიმდინარე პროცესია ასახული.

### 2.3. ოპერის ინსტრუმენტული გადაწყვეტა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორკესტრის შემადგენლობა მოიცავს ინსტრუმენტების ყველა ჯგუფს; მათ შორის, ხის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფს, რომელიც სოლო ინსტრუმენტებად არის წარმოდგენილი. ლითონის საკრავებიდან გვხვდება მხოლოდ საყვირი. დასარტყამი საკრავების მოზრდილი ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვან ტემბრალურ პალიტრას ქმნის ნაწარმოებში. ა სევე, პარტიტურაში ვხედავთ კლავიშიან საკრავთა ჯგუფს ფორტეპიანოს და ორგანის სახით. ნაწარმოებში სიმებიანების ორივე ჯგუფი მონაწილეობს: ჩამოსაკრავი არფა და ხემიანების მოკრძალებული შემადგენლობა ექვსი ვიოლინოს, სოლო ალტის, ჩელოს და კონტრაბასის სახით. აქვე გვხვდება მცირე შემადგენლობის შერეული გუნდი (მომღერალთა რაოდენობა მინიმუმ უნდა იყოს 6 მამაკაცი და 4 ქალი), და მთავარი გმირი ქალი (სოპრანო); ასევე, Facebook თაყვანისმცემელი მამაკაცი (ბარიტონი), რომლის პარტიაც თავისუფლად შეიძლება შეასრულოს გუნდის რომელიმე წევრმა. აღსანიშნავია, რომ პარტიტურაში ერთი უცნაური პარტია გვხვდება, სახელწოდებით „Facebook“, რომელიც საკრავის ფუნქციით არის გააზრებული და ოპერაში მონაწილეობს, როგორც ორკესტრის სრულფასოვანი წევრი.

### 2.4. Facebook / F. bk.

პარტიტურაში ინსტრუმენტებს შორის გვხვდება ერთი უჩვეულო „საკრავი“. აქამდე არც ერთ საოპერო პარტიტურას თუ სხვა ჟანრის მუსიკალურ პარტიტურასა და კლავირში რომ არ შეგვხვედრია. ეს ინსტრუმენტი გახლავთ Facebook-ი. ოპერის პარტიტურაში მას დათმობილი აქვს ინდივიდუალური სივრცე და სრულუფლებიან ადგილს იკავებს ინსტრუმენტებს შორის. კომპოზიტორის ჩანაფიქრის მიხედვით, Facebook ხაზი არის დამოუკიდებელი მუსიკალური შრე და როგორც ინსტრუმენტი, ზოგჯერ პერსონაჟიც კი, ისე გვევლინება პარტიტურაში - აბრევიატურით F. bk. ოპერაში არსებული Facebook პერსონაჟების, რომელთა რაოდენობა, შემადგენლობა, სქესი თუ ქმედება სრულიად ალეატორიკულია და მთლიანად დამოკიდებულია ოპერის სხვადასხვა სადადგმო გადაწყვეტილებაზე.

ოპერის მთავარი, განსაკუთრებული და საინტერესო კონტრაპუნქტული ხაზი სწორედ რომ Facebook ხაზია. ოპერის წერის პროცესში, მის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე, ავტორმა მთავარი გმირის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი შექმნა სახელით - „თევზის წერილები“. ეს იყო ერთგვარი ინტერაქტიული აქტი პოტენციურ მსმენელებთან, რომლებიც იმავდროულად ოპერის მონაწილეებად იქცეოდნენ. კომპოზიტორმა გამოაქვეყნა ამის შესახებ თავის ოფიციალურ Facebook გვერდზე და სთხოვა მის Facebook მეგობრებს, თუ სურვილი ექნებოდათ, დაემატებინათ „თევზის წერილები“ მეგობრებში და ასევე „თევზის წერილებიც“ დაემატებდა მათ. ეს იყო

ერთგვარი ჩანაფიქრი ყოფილიყო რეალური შეგრძნება იმისა, რომ სინამდვილეში არსებობს ასეთი გვერდი, რომელიც იქნებოდა აქტიური მანამ, სანამ ოპერის საკონცერტო პრემიერა შედგებოდა.

## **2.5. ოპერის იდეა/ოპერის ნარატივი**

ოპერის მამოძრავებელი მთავარი იდეა არის ადამიანი და მისი ადამიანური ბუნების გამოვლენა სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ, ვურთიერთობთ გარემოსა თუ საზოგადოებასთან და ვქმნით ან უფრო ვერთვებით იმ ობიექტურ რეალობაში, რომელსაც გვთავაზობს ეს ურთიერთობები. მთავარი კონფლიქტიც, რა თქმა უნდა, მყარდება მაშინ, როცა ადამიანსა და სამყაროს შორის ამ ურთიერთობების ჰარმონია ირღვევა. კიდევ უფრო რთულდება და ღრმავდება ეს ურთიერთობა, როდესაც ჩვენი დღევანდელი სამყარო, ერთმანეთის პარალელურ თუ დაპირისპირებულ დროებსა და სივრცეებს გვთავაზობს. ერთია იმყოფებოდე ასტრონომიულ დროში და მეორეა არაასტრონომიული დრო. ესენია: ერთმანეთის მიმართ პარალელურ ურთიერთობაში მყოფი განზომილებები - ვირტუალური და რეალური სამყაროები, რომელიც თანაარსებობას აგრძელებენ ჩვენს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, მათ მიმართ ადამიანი რეზისტენტულია თუ არა. არაასტრონომიული სივრცეები და დროები ყოველთვის იყო და ეს ერთგვარად ადამიანის აღქმის თანმდევი პროცესია (ვგულისხმობ ადამიანის ქვეცნობიერს, სიზმებს, წარმოსახვებს და ა. შ.), რომელიც მუდმივად ჩვენთან თანაარსებობს და XXI საუკუნეში სრულიად ხელშესახები და სხეულებრივიც კი გახდა.

## **2.6. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „თევზის წერილები“ და თამარ ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილები“ - საერთო და განმასხვავებელი მახასიათებელი ნიშნები**

თამარ ფუტკარაძე-ლაშხისა და გოდერძი ჩოხელისათვის ნაწარმოების იდეის ფუნდამენტი და საერთო ამოსავალი წერტილი, სწორედ ადამიანი და მისი თავისუფალი ნების გამოხატვა გახლავთ. ზოგჯერ სრულიად გაუგებარი სხვებისთვის, მაგრამ მაინც ძვირფასი, რადგან ეს გადაწყვეტილება მხოლოდ პიროვნების თავისუფალ არჩევანთანაა დაკავშირებული. ჩოხელის შემოქმედებაში, ხშირად ამ პიროვნულ გადაწყვეტილებას და არჩევანს თან მთავარი გმირი მსხვერპლადაც კი ეწირება, რადგან სხვაგვარად არჩევანის თავისუფლებას ვერ აღწევს.

„სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, - მითხრა გუმინწინ გამიხარდაიმ და გამცილდა“<sup>1</sup>.

გ. ჩოხელისა და თ. ფუტკარაძე-ლაშხის მთავარი გმირები გაუცხოვებულია იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც იმ ყოფიერ სამყაროს ქმნის, რომელშიც ცხოვრობენ. ორივე გაურბის პირველ რიგში საკუთარ თავს, შემდეგ სხვებს და ემებს გამოსავალს. ორივე მსხვერპლია იმ საზოგადოებისა, რომლის ყოველი ცალკეული წევრი ასევე მარტოა და გაუცხოვებული ერთმანეთის, საკუთარი თავისა და რეალური სამყაროს მიმართ.

## 2.7. ვირტუალური და რეალური სამყაროების კონსტრუქცია

ოპერის ფაბულაში ორი ძირითადი, დაპირისპირებული სივრცე ვითარდება (თუმცა, შემდეგ ეს ორი ძირითადი ხაზიც იყოფა) - Facebook-ის ვირტუალური სიუჟეტური ხაზი და მეორე - ოპერაში არსებული რეალური სიუჟეტური ხაზი. ეს ორივე, დამოუკიდებელი და ამავე დროს ერთი მთლიანი შრეა, რომელიც თანაარსებობს ცალ-ცალკე და ერთად. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ, მათში თავიდანვე ჩადებულია ერთმანეთისადმი ორი დამოუკიდებელი და შეიძლება ითქვას პოლარული საწყისი. ერთი მხრივ, ოპერის სიუჟეტი ვითარდება რეალურ სამყაროში, ხოლო Facebook ხაზი თავიდანვე ვირტუალურია. ის არ არსებობს რეალურად და ამავე დროს თავისთავად არსებობს კიდევ არსებულ რეალობაში.

ოპერაში გვაქვს სწორედ ორი პარალელური სამყარო. ერთია რეალური, ის რაც ნამდვილად ხდება და მეორეა - ვირტუალური, სადაც ვახდენთ ჩვენი რეალური სამყაროს ასახვას. ხშირად ეს ყველაფერი საკმაოდ მიახლოებულია რეალობის განცდას. ჩვენს ირგვლივ არსებული რეალობის, ვირტუალურ სივრცეში ასახვა სხვადასხვაგვარი და მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. დამოუკიდებელია კონკრეტულ ადამიანზე და ამ სივრცეში მის უშუალო ქმედებაზე.

## 2.8. კონტრაპუნქტი - ოპერის სტრუქტურის და დრამატურგიის წარმმართველი სახე

ოპერაში ახალი სახის „პარალელურ სამყაროთა კონტრაპუნტის“ მთავარი წყაროა რეალური და ვირტუალური სამყაროების დაპირისპირება. თითოეულ სამყაროში არსებობს ორი შრე: ესენია მთავარი გმირის რეალური სამყოფელი სივრცე „ოთახი“ და მისი ოთახის ფანჯრის გარეთ არსებული სივრცე - „ქუჩა“. ვირტუალური შრეებია - Facebook სივრცე და ქალის ქვეცნობიერი (სიზმარი). მაგალითად, მთავარი გმირი

<sup>1</sup> ჩოხელი, გ. *თევზის წერილები*. მოძიებულია <https://poetry.ge/poets/goderdzi-chokheli/prose/9551.tevzis-werilebi.htm>

ინტერნეტის ვირტუალურ სივრცეში ტვირთავს დილის განწყობის შემქმნელ ფოტოებს; ან სიზმრის სცენაში, მისი ქვეცნობიერის მიერ შექმნილ ვირტუალურ სივრცეში იჭრება და „განსხეულდება“ სწორედ ამ ძილში წარმოსახულ ირეალურ სამყაროში.

## 2.9. ვერბალური ტექსტის ფუნქცია კონტრაპუნქტის ახალი სახის შექმნაში

პოსტში „ჩუ! ქართველო“, გამოყენებულია აკაკი წერეთლის იმავე სახელწოდებიანი ლექსი „ჩუ! ქართველო“. სწორედ ეს სცენაა გამომწვევი იმ მიზეზის, რომელიც მთავარ გმირს გადააწყვეტინებს, რომ ვირტუალური სამყაროდან გაიქცეს.

კომპოზიტორი აკაკი წერეთლის ლექსს თანმიმდევრულად არ მიჰყვება. ოპერის ავტორმა ამოარჩია და გადაადგილა მისთვის იდეურად მნიშვნელოვანი ფრაზები. პოსტი, რომელშიც ქალი ტვირთავს ფოტოებს და თან ურთავს თავის სახლის წინ მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას, საკმაოდ მწვავეა, სარკაზმითა და ირონიით გაჯერებული, უფრო დაცინვის და არა გულისტკივილის მატარებელი. კომპოზიტორისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო გაჰყოლოდა ქართული ლექსის სამეტყველო ინტონაციას, თუ როგორ გამოითქმის თითოეული ფრაზა, სიტყვა, ვიდრე სიტყვათა ლიტერატურულ აზრობრივ წყობას. რადგან მუსიკა აბსტრაქტული მოვლენაა, ლექსის შინაარსი კომპოზიტორის მიერ სიმღერაში გადმოტანილია ვერბალურ ტექსტში არსებული მუსიკალური აზრის შემქმნელი ხერხების მეშვეობით; მაგალითად, კომპოზიტორს გააზრებული აქვს, თუ სად გვხვდება მახვილები ვერბალურ ტექსტში, რომ სიმღერაშიც ისეთივე ბუნებრივი მოვლენა იყოს ტექსტის წარმოთქმა, როგორც ეს ხდება მეტყველების დროს.

## დასკვნა

კომპოზიციაში კონტრაპუნქტის ტექნიკა მუსიკის შექმნის მთავარი ქვაკუთხედეა, მათ შორის, არქიტექტონული და სტრუქტურული თვალსაზრისით.

კონტრაპუნქტის ახალი გამოვლინებების შესწავლისთვის და საკლასიფიკაციო მოდელის შექმნისთვის გამოვყოფთ ორ დონეს:

- კონტრაპუნქტის ახალი ფორმები - უფრო მსხვილი ერთეული (მაკროდონე),
- კონტრაპუნქტის ახალი სახეები, რომელიც ერთ გარკვეულ ფორმაში მოიაზრებიან (მიკროდონე).

უახლეს ქართულ მუსიკაში კონტრაპუნქტის ახალი სახეებისა და ფორმების გამოყენების თავისებურებების შესწავლის მიზნით, ძირითადად ვეყრდნობოდით ტ. კიურეგანის მიერ შემოთავაზებულ XX საუკუნის პოლიფონიის სახეების



საკლასიფიკაციო მოდელს, სადაც კონტრაპუნქტი განხილულია არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი ხმების კომბინაცია, არამედ, როგორც ჟღერადი და არაჟღერადი მასალის დროისა და სივრცის ჭრილში გააზრებული მოვლენა, რომელიც გავლენას ახდენს უშუალოდ ნაწარმოების საერთო იდეაზე. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის კრიტერიუმები უფრო გამსხვილებულია: ყურადღებას ვამახვილებთ კონტრაპუნქტის არსზე, როგორც აზროვნების კატეგორიაზე და არა მხოლოდ, როგორც პოლიფონიის სხვადასხვა სახის ტექნიკაზე.

კონტრაპუნქტის სხვადასხვა ფორმა ქართველ კომპოზიტორებთან გამოვლენილია ერთდროულობაში და გავლენას ახდენს ერთი მეორეზე. მაგალითად, ალექსანდრე კონტრაპუნქტი შეიძლება იყოს სონორულ-ალექსანდრეულიც და ფონურად გააზრებული ვერბალური ტექსტების და სტილების პოლიფონია ერთდროულობაში. ზოგიერთი ფორმა მხოლოდ საკომპოზიტორო ტექნიკის თვისებაა და ზოგჯერ სააზროვნო მოდელიც.

განხილულ ნაწარმოებებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ XX-XXI საუკუნის მუსიკალურ აზროვნებაში, განსაკუთრებით მულტიმედიურ და თეატრალიზებულ მუსიკალურ ჟანრებში, გხვდება კონტრაპუნქტის ისეთი ახალი სახეები, რომელიც თავისი ბუნებით ერთ ტიპოლოგიაში ექცევა. ეს ეხება კონტრაპუნქტის ისეთ სახეებს, სადაც არაჟღერადი კატეგორია წარმოდგენილია მუსიკალური აზროვნების ფორმატში და მოიაზრება, როგორც მუსიკის კომპონენტი. ამ ფაქტორს - არამჟღერ კატეგორიათა მუსიკასთან გაერთიანებას, ხელი შეუწყობს საკომპოზიციო ტექნიკაში დროით-სივრცითი პარამეტრის აქტივიზებამ და მათზე ზემოქმედებამ.

სხვა საკითხია სპეციალურად კვლევის პროცესში შექმნილი ნაწარმოების, თამარ ფუტკარაძე-ლაშხის „თევზის წერილების“ ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები, სადაც გამოვლინდა კონტრაპუნქტის, როგორც არსებული ფორმები, ასევე ახალი ფორმები, რომელიც კონტრაპუნქტის ახალ სახეებს აერთიანებს, ან არსებულ სახეებს ახალ კონტექსტში წარმოაჩენს.

თ. ფუტკარაძე-ლაშხის ოპერა „თევზის წერილების“ ანალიზმა ცხადყო, რომ ოპერაში გამოყენებულია კონტრაპუნქტის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის ახალი სახეები, რომელსაც ჩატარებულ ანალიზზე დაყრდნობით მიენიჭა სახელები და დაჯგუფდა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. ოპერის ანალიზის შედეგად შეიქმნა კონტრაპუნქტის საკუთარი საკლასიფიკაციო მოდელი, რომელმაც, ამასთანავე, წარმოაჩინა უახლესი ქართული და მსოფლიო მუსიკისათვის დამახასიათებელი საკომპოზიტორო აზროვნების მეთოდები და საკომპოზიტორო ტექნიკის გამოყენების ახლებური მიდგომები. ოპერაში მოხდა მჟღერი და არამჟღერი სტრუქტურების როლის,

მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელმაც განაპირობა მუსიკის დრამატურგიის ჩამოყალიბება.

თ. ფუტკარაძე-ლაშხის ოპერის „თევზის წერილები“ უმთავრესი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ნაწარმოებში კომპოზიტორი ვირტუალურ და რეალურ სამყაროებს წარმოაჩენს ცალ-ცალკე და ერთობლიობაში. ამასთანავე, ახდენს ორივე სამყაროს „მატერიალიზებას“. ერთი მხრივ, რეალური სამყაროს - მჟღერი ინსტრუმენტულ-საორკესტრო მასალით და, მეორე მხრივ, ვირტუალური facebook-ით, რომელიც გააზრებულია, როგორც დამოუკიდებელი მუსიკალური ინსტრუმენტი ცალკე მუსიკალურ შრედ, რაც მსმენელი/მაცურებლის მიერ აღიქმება ვიზუალური და ხმოვანი ასპექტის მეშვეობითაც.

ამგვარად, იკვეთება კონტრაპუნქტის ახალი ფორმა, რომელსაც „პარალელურ სამყაროთა კონტრაპუნქტი“ ვუწოდეთ. თ. ფუტკარაძე-ლაშხის ოპერაში „თევზის წერილები“, ნათლად ჩანს ამ კონტრაპუნქტის გამოყენების შემთხვევები. მაგალითისთვის, პირველი სურათის მეორე სცენაში მთავარი გმირი საკუთარი ოთახის ფანჯრიდან თვალს ადევნებს ქუჩაში მიმდინარე მიტინგს, რომელსაც live stream-ის მეშვეობით აზიარებს საკუთარ facebook გვერდზე. შესაბამისად, მსმენელი ერთდროულობაში თვალს ადევნებს რეალურ და ვირტუალურ სამყაროს, დროსა და სივრცეში ამ სამყაროების ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელი მინიმალური აცდენით. ასევე, კომპოზიტორის ჩანაფიქრით, რიგ შემთხვევაში მსმენელი და მაცურებელი თავად მონაწილეობს კონტრაპუნქტის გარკვეული ფორმების შექმნაში: ოპერის მიმდინარეობისას გაზიარებული facebook ანგარიში ღიაა ოპერის მსმენელებისთვის. ნაწარმოების მიმდინარეობის დროს მათ შეუძლიათ აღნიშნულ გვერდზე პოსტების გამოქვეყნება, ბმულების გაზიარება, პირადი შეტყობინებების გაგზავნა, live stream-ის ჩართვა და ა.შ... შესაბამისად, მსმენელი აქტიურადაა ჩართული ოპერის არა მხოლოდ ვიზუალური, არამედ ჟღერადი სივრცის შექმნაში (ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ თითოეულ facebook შეტყობინებას საკუთარი ხმოვანი სიგნალი გააჩნია). აღნიშნული პროცესი შეიძლება განვიხილოთ სივრცე-დროით, ვიზუალურ, ლინგვისტურ, განზომილებათა და მუსიკალურ ასპექტში. ამასთანავე, პროცესი სრულიად ღიაა და დამოკიდებულია მსმენელების ჩართულობასა და აქტივობაზე, რაც ყოველი წარმოდგენისას განსხვავებული შედეგის დადგომას გულისხმობს.

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ოპერაში მოქმედებს არა იმდენად კონტრაპუნქტული ხაზების, არამედ ობიექტების კონტრაპუნქტული დამოკიდებულება, ნოტი ნოტის წინ კი არა, არამედ ისეთი კავშირები, რომლებიც შეიძლება საერთოდ არ იყოს წმინდა მუსიკალური ხასიათის.

ამგვარად, კვლევის პროცესში შექმნილმა ოპერამ, როგორც საექსპერიმენტო ნიმუშმა, ზოგად სააზროვნო კონტექსტში ახალი კონტრაპუნქტის კიდევ ერთი ფორმის წარმოშობა განაპირობა, რასაც ვუწოდებთ **პარალელურ სამყაროთა კონტრაპუნქტი**, რაც თავის თავში აერთიანებს კონტრაპუნქტის შემდეგ ახალ სახეებს:

- ლინგვისტური კონტრაპუნქტი;
- სუბიექტურ და ობიექტურ რეალობათა კონტრაპუნქტი;
- განზომილებათა კონტრაპუნქტი;
- დარგების, მედიათა კონტრაპუნქტი;
- ვიზუალური კონტრაპუნქტი;
- სივრცე - დროითი კონტრაპუნქტი (მაგალითად, ვირტუალური და რეალური);
- მიკრო სიხშირული კონტრაპუნქტი.

დღევანდელი სამყარო იმდენად კონტრაპუნქტული, განსხვავებული და მრავალფეროვანია, რომ მუსიკალურ სივრცეში თავისთავად მოხდა ამ ყველაფრის გამოვლენა. მხატვრული ექსპერიმენტის მეშვეობით დავამტკიცეთ, თუ როგორ შეიძლება დაპირისპირებული მოვლენები გაერთიანებული იყოს ერთ სივრცეში - მუსიკალურად „არათავსებადი“ მატერიები მოექცნენ ერთმანეთის გვერდით და მონაწილეობა მიიღონ ერთიანი მუსიკალური სივრცის შექმნაში, თავიანთი დამოუკიდებელი დროითი და სივრცითი ასპექტებით. სწორედ აზროვნების აღნიშნული კატეგორია წარმოშობს და აქცევს მას კონტრაპუნქტის ახალ ფორმად და სახედ. საინტერესოა ასევე ის, რაც ანალიზის შედეგად გამოვლინდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებში არსებული მხატვრული მასალის გამოვლენა ხდება თანაბარი, ექვივალენტური მნიშვნელობით. მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება თანაბარმნიშვნელოვანია, ისინი თანამონაწილეობენ ფორმაქმნალობაში და ურთიერთდამოკიდებულებებს წარმოშობენ, რომელიც შემდგომ გავლენას ახდენს კონტრაპუნქტის ფორმებზე და მათ თანაარსებობაზე სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

**გამოქვეყნებული სტატიები:**

ფუტკარაძე, თ. (2023). სივრცე-დრო და ახალი კონტრაპუნქტი ქართულ მუსიკაში (რეზო კიკნაძის და ეკა ჭაბაშვილის შემოქმედების მაგალითზე). *ქესე: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია*, 1 (27), 70-81.

[https://gesj.internet-academy.org.ge/ge/list\\_artic\\_ge.php?b\\_sec=muz&fbclid=IwAR0-ohDQN9xNpUK2cP-bnz9vgMrdxGv8awiVq0NN-p7xu5kZW-c0KdXNDE](https://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz&fbclid=IwAR0-ohDQN9xNpUK2cP-bnz9vgMrdxGv8awiVq0NN-p7xu5kZW-c0KdXNDE)

ფუტკარაძე, თ. (2023). ზურაბ ნადარეიშვილის ოპერა "Aphaniptera and Formiside". *ქესე: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია*, 1 (27), 60-69.

[https://gesj.internet-academy.org.ge/ge/list\\_artic\\_ge.php?b\\_sec=muz&fbclid=IwAR0-ohDQN9xNpUK2cP-bnz9vgMrdxGv8awiVq0NN-p7xu5kZW-c0KdXNDE](https://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz&fbclid=IwAR0-ohDQN9xNpUK2cP-bnz9vgMrdxGv8awiVq0NN-p7xu5kZW-c0KdXNDE)

**V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire**

*Copyright of the manuscript*

Tamar Putkaradze-Lashkhi

**New Types of Counterpoint in Georgian Music  
(on the example of Tamar Putkaradze-Lashkhi's opera *Fish Letters*)**

A B S T R A C T

of the dissertation for the degree of Doctor of Musical Arts

MUS 0215.1.9: Composition

Tbilisi, 2023

**Scientific supervisors:**

Eka Chabashvili  
(Doctor of Musical Arts, Associate Professor)

Marika Nadareishvili  
(PhD in Art Studies, Professor)

**Expert:**

Maka (Maya) Virsaladze  
(Doctor of Musical Arts, Associate Professor)

The dissertation defence will take place: Friday, December 1, 2023, 2 p.m.,

Dissertation Council meeting N of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire  
at: 8, Griboedov street, Tbilisi. Tbilisi State Conservatoire, floor IV, room 425

The thesis and abstract are available at the library of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire  
and on the Conservatoire website: [tsc.edu.ge](http://tsc.edu.ge)

Scientific Secretary of the Dissertation Council

Eka Chabashvili  
Doctor of Musical Arts, Associate Professor

## General Description of the Work

Counterpoint is an inseparable part of the world, human thinking and life. Existence of the universe determines simultaneous flow, development and interaction of many processes in it. Art of music, as a model of the universe and human thinking, always reflects the course of such processes through the forms and means of expression characteristic of a particular epoch. Over the centuries, the term “counterpoint” has changed its meaning and intensity of application many times.

Given the above, it is very important to study counterpoint and related issues, which gives an idea not only of the thinking principles of a particular composer, but also allows seeing the features characteristic of his epoch and the direction of art development in a broader aspect. This is what determines the **relevance** of the selected dissertation topic.

The problem of applying various new forms of counterpoint on the example of contemporary Georgian chamber opera has not yet been the subject of special scientific research, which is the **scientific novelty** of the work.

